**შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"- ის თვითრეგულირების ორგანოს -„კომისიის" გადაწყვეტილება**

**01 მარტი, 2019**

**თბილისი**

**კომისიის შემადგენლობა:**

მთავარი იურისტი - თამთა მურადაშვილი

მთავარი იურისტი- დიმიტრი საძაგლიშვილი

იურისტი- დაჩი ბერუჩაშვილი

იურისტი - ლიკა მეტრეველი

**დაინტერესებული პირები:**

ნინო ჩიხლაძე, მარიამ ორჟონია.

სხდომაზე დაინტერესებული პირები არ გამოცხადებულან.

**აღწერილობითი ნაწილი**

დაინტერესებული პირებისგან 2019 წლის 21 და 24 იანვარს შემოვიდა განცხადებები, რომლებიც ეხება 2019 წლის 13 იანვარს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" 12:00 საათიან საინფორმაციო გამოდაცემა ,,კურიერში'' გასულ სიუჟეტს, რომლის თანახმადაც, სოფელ ყიზილაჯლოში დედამ ცივი იარაღით ქალიშვილი დაჭრა ყელისა და გულის არეში. აღნიშნულ სიუჟეტში ჟურნალისტმა თამთა დოლენჯაშვილმა განაცხდა: ,,სავარაუდოდ, ეს კონფლიქტი ნაირა ახლუბლოვას არცთუ კარგ რეპუტაციას უკავშირდება''.

დაინტერესებული პირების მიერ შემოტანილი საჩივრები ეხება ერთსა და იმავე სიუჟეტს, აქედან გამომდინარე, თვითრეგულირების ორგანომ გააერთიანა და განიხილა ეს ორი საჩივარი ერთად.

**დაინტერესებული პირის პოზიცია:**

საჩივრის ავტორი [ნინო ჩიხლაძე] აღნიშნავს, რომ დაირღვა შემდეგი მუხლები: ''მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 35-ე მუხლის 22-ე ნაწილი, რომლის თანახმად, დაუშვებელია გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევისას დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, სანამ ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. ამასთან, მითითებულია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის''

50-ე მუხლის მე-9 ნაწილის ,,ბ'' პუნქტი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს პიროვნების იდენტიფიცირება, როცა: რთულია ინფორმირებული თანხმობის მიღება, მაგალითად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. საჩივრის ავტორის თქმით, სიუჟეტში ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს დანაშაულის გამომწვევ შესაძლო, დაუსაბუთებელ მიზეზზეც, რომელიც სუბიექტურად აღწერს მას და დისკრიმინაციულია სქესის ნიშნის მიხედვით. ჟურნალისტის გამონათქვამი ,,სავარაუდოდ, ეს კონფლიქტი ნაირა ახლუბლოვას არცთუ კარგ რეპუტაციას უკავშირდება'' - საჩივრის ავტორის აზრით, მსგავსი შეფასება სექსისტური და შეურაცხმყოფელია, ვინაიდან ჟურნალისტმა განზრახ თუ გაუფრთხილებლად საზოგადოებას აქცენტი გადაატანინა მსხვერპლის პირად ცხოვრებაზე. დაინტერესებული პირი ასევე მიუთითებს ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. გარდა ამისა, საჩივრის ავტორი ხაზს უსვამს ,,მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის'' მე-3 მუხლის მე-2 ნაწილზე: მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

მეორე საჩივრის ავტორს [მარიამ ორჟონიას] ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის '' 34-ე მუხლზე აქვს ყურადღება გამახვილებული, რომლის თანახმადაც, მაუწყებელმა პროგრამების მომზადებისას და მათი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა. მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის. საჩივარში არის ასევე მითითება ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' მე-5 მუხლის ''ი'' ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმური მოლოდინი არის პირის მოლოდინი, რომ მას მოეპყრობიან აღიარებული და დამკვიდრებული პრაქტიკის ან წესების შესაბამისად. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმური მოლოდინი არ არის დამოკიდებული პიროვნების საზოგადოებრივ სტატუსზე. საჩივრის ავტორი თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, ჟურნალისტის მიერ იდენტიფიცირებულია მსხვერპლი - ნაირა ახლუბლოვა. გარდა ამისა ვრცლად არის ასევე გადმოცემული ინფორმაცია ამ პირის პირადი ცხოვრების შესახებ, რითაც ხელყოფილია ნაირა ახლუბლოვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. დაინტერესებული პირი აღნიშნავს, რომ ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის, ფოსტის თუ სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ადამიანის პირად ცხოვრებაში ან/და იურიდიული პირის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს. საჩივრის ავტორის აზრით, განსახილველ

შემთხვევაში ნათელია, რომ დაზარალებულის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყო საზოგადოების კანონიერი ინტერესის მისაღწევი პროპორციული საშუალება და ინფორმაციის თავისუფლების სახით მოაზრებული სიკეთე აღემატება იმ ზიანს, რომელიც ნაირა ახლუბლოვას მიადგა. საჩივარში ასევე საუბარია სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე და მოხმობილია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31-ე მუხლი, რომელიც უკვე ზემოთ განვმარტეთ, ასევე ,, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 48-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 49-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად კი, მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას. ასევე მითითებულია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ. ნაირა ახლუბლოვას სავარაუდო მსუბუქ ყოფაქცევაზე ხაზგასმით იქმნება რისკი, იმისა რომ მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია და, ზოგადად, წახალისდეს ქალთა მიმართ ძალადობა, მოწონებული იყოს დანაშაულის ჩადენა და გამოიწვიოს სხვადასხვა ტიპის ანტისოციალური ქმედებები. საჩივრის ავტორის აზრით, ნაირა ახლუბლოვას მიმართ დისკრიმინაციის ფაქტზე მეტყველებს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის დებულება. კერძოდ, კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ტერმინი ,,დისკრიმინაცია ქალთა მიმართ" სხვა დანარჩენთან ერთად, ასევე მოიაზრებს ნებისმიერ განსხვავებას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს პოლიტიკურ ან მოქალაქეობრივ სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძვლზე ქალთა მიერ,- მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას. დაინტერესებულ პირი ასევე მიუთითებს ,,საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის" მე-7 პრინციპზე, რომლის თანახმადაც, ,,ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. ამიტომ, ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

## საჩივრის დასაშვებობა

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" მე-2 მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლობის საქმიანობა.

კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან თვითრეგულირების მექანიზმის მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა მას წინამდებარე საქმეზეც მიაჩნია, რომ დაშვებულ უნდა იქნეს ქალბატონ ნინო ჩიხლაძისა და მარიამ ორჟონიას საჩივრები და განხილულ იქნეს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

## სამოტივაციო ნაწილი

სადავო საკითხია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში ,,კურიერის'' ჟურნალისტის მიერ გაჟღერებული ფრაზა. ჟურნალისტმა თამთა დოლენჯაშვილმა ეთერში თქვა შემდეგი სიტყვები: ,,სავარაუდოდ, ეს კონფლიქტი ნაირა ახლუბლოვას არცთუ კარგ რეპუტაციას უკავშირდება'' . მოცემულ შემთხვევაში, რუსთავი 2-ის თვითრეგულირებაში განვიხილავთ ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური სტანდარტის დარღვევის სავარაუდო საკითხს. კომისია განმარტავს, რომ ჟურნალისტი თამთა დოლენჯაშვილი არ არის „,ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის'' წევრი, თუმცა „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ პრინციპები თანხვედრაშია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ პრინციპებთან და სამაუწყებლო კომპანიის თვითრეგულირების მექანიზმიც სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ მოხდეს ამ პრინციპის დარღვევებზე რეაგირება და მომავლში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი სახის დარღვევები.

კომისია თვლის, რომ მაუწყებელს არ დაურღვევია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 35-ე მუხლის 22-ე ნაწილი, რადგანაც აღნიშნული ნორმა ეხება პირის იდენტიფიცირების თავიდან აცილებას, სანამ შემთხვევის შესახებ პირის ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი. სადავო სიუჟეტში გადმოცემული ინფორმაცია არ არის 35-ე მუხლის 22-ე პუნქტის რელევანტური შემთხვევა, ვინაიდან სიუჟეტის მომზადების მომენტისთვის, პირის ოჯახის წევრებისთვის ყველაფერი იყო ცნობილი. გარდა ამისა აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს [რაზეც თავადვე მიუთითებს ერთ-ერთი საჩივრის ავტორი, ქალთა მიმართ ძალადობის თემასთან კავშირში] და დაზარალებულის იდენტიფიცირებაც სწორედ ამ ინტერესს ემსახურებოდა. ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' მე-5 მუხლის ''ფ'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი ინტერესი ეს არის მაღალი აქტუალობის მქონე იმ ფაქტისა ან/და მოვლენის შესახებ საჯარო ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა), რომელიც ეხება პირთა ფართო წრეს ან საზოგადოების ერთ კონკრეტულ ჯგუფსა და საჯარო ინტერესის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან.

კომისიას მიაჩნია, რომ ადგილი არ აქვს ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის '' 50-ე მუხლის მე-9 ნაწილის ,,ბ'' პუნქტის დარღვევას: „დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს პიროვნების იდენტიფიცირება, როცა ... რთულია ინფორმირებული თანხმობის მიღება, მაგალითად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო“. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემული ნორმის წაკითხვა არ უნდა მოხდეს ვიწრო ჭრილში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტი, პრაქტიკულად სრულად იქნება მოკლებული შესაძლებლობას გააშუქოს ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შესახებ და მისი, როგორც საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის შუამავალი, ინფორმაციის გამტარის როლი იქნება დაკარგული. საინფორმაციო გადაცემის სიუჟეტი ვერ იქნება საინფორმაციო კუთხით სტერილურად გადმოცემული. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ოჯახური თუ ქალთა ძალადობის მიმართ დანაშაულებებზე რეაგირება ხშირად სწორედ იმიტომ ხდება ეფექტური და დროული, როდესაც ამგვარი შემთხვევებით მედია ინტერესდება. უფრო მეტიც, ხშირად ეთერში გადაცემული მასალა საგამოძიებო ორგანოებს საქმის გამოძიებაში ეხმარებათ. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევებში ფაქტების

კონსტატაცია [შემთხვევის ფაქტი, ადგილი, მონაწილე პირები] ვერ ჩაითვლება ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური პრინციპების დარღვევად.

კომისია ასევე ვერ დაეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებას ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევაზე, რომლის თანახმადაც ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის, ფოსტის თუ სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. საინფორმაციო გადაცემაში გასულ სიუჟეტში არ ყოფილა გაჟღერებული ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის, ფოსტის თუ სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ. თუმცა, კომისიის ყურადღება მიიპყრო „საცხოვრებელი ადგილის" კომპონენტმა და ნორმის ყველაზე მაღალი სტანდარტის დაცვის მიზნით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ემსჯელა ამ საკითხზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეთერში არ გაშუქებულა პირის კონკრეტული საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ეს ავტომატურად არ გამორიცხავს მისი საცხოვრებელი ადგილის იდენტიფიცირებულად აღქმის შესაძლებლობას. როდესაც საუბარია ქვეყნის რეგიონებში, პერიფერიულ ადგილებში მომხდარ მოვლენებზე, ამგვარი ადგილების გეოგრაფიულად პატარა სივრცისა და მცხოვრები სოციუმის გათვალისწინებით, თუნდაც მეზობლის სახლის კადრების ჩვენებით, „საცხოვრებელი ადგილი" შესაძლოა იყოს იდენტიფიცირებულად აღქმული [განსაკუთრებით, კონკრეტულ გეოგრაფიულ ერთეულში მცხოვრები ადამიანებისთვის, რომელთა მიმართაც ეთერში დასახელებული პირი (დაზარალებული, სავარაუდო დამნაშავე) შეიძლება იყოს მოწყვლადი]. მოცემულ შემთხვევაში, კომპონენტთა ერთობლიობით [სიუჟეტში დასახელებული პირების ასაკის [სრულწლოვანი], ცალკეული კადრებითა და მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე], კომისიამ მიიჩნია, რომ „საცხოვრებელი ადგილი" არ იყო იდენტიფიცირებულად აღქმული.

,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 31-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ეთერში გადაცემული მასალა ნაკლებად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც სიძულვილის ან არატოლერანტობის გამღვივებელი რაიმე ნიშნით.

კომისია თვლის, რომ არ დარღვეულა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 48-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. ასევე, არ დარღვეულა ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 49-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას; არ დარღვეულა ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ.

კომისიას მიაჩნია, რომ სიუჟეტში პრობლემურია ჟურნალისტის შემდეგი სიტყვები: *,,სავარაუდოდ, ეს კონფლიქტი ნაირა ახლუბლოვას არცთუ კარგ რეპუტაციას უკავშირდება''* და ამით დარღვეულია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 33-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული *ლექსიკის* ან გამოსახულების გამოყენება. კომისიის აზრით, ჟურნალისტის მიერ გაჟღერებული სიტყვები არის ადამიანის პირადი ცხოვრების შემლახველი. ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს მსგავსი სახის ინფორმაციის გადაცემისგან, თუნდაც ამგვარ ინფორმაციას მას აწვდიდეს წყარო. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ჟურნალისტის მიერ ნაირა ახლუბლოვასთან, როგორც ქალთან, დაკავშირებული გამოყენებული ლექსიკა შესაძლოა აღქმულ იყოს ჟურნალისტური პრინციპის დარღვევად არა მხოლოდ პირადად ქალბატონ ნაირა ახლუბლოვასთან, არამედ ზოგადად, ქალებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქალთა მიმართ ისედაც არსებული სტერეოტიპული განწყობის გაძლიერებას საზოგადოებაში. შესაბამისად, მაუწყებელს მიაჩნია, რომ აგრეთვე დაირღვა ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის '' 34-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მაუწყებელმა პროგრამების მომზადებისას და მათი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა.

კომისია იზიარებს საჩივრის ავტორის/ავტორების აზრს და მიიჩნევს, რომ მაუწყებელმა სიუჟეტის მომზადებისას და მისი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა არამართლზომიერად, რადგანაც ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 35-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ადამიანის პირად ცხოვრებაში ან/და იურიდიული პირის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

კომისიამ გამოითხოვა ჟურნალისტ თამთა დოლენჯაშვილისგან ახსნა-განმარტება. ჟურნალისტის თქმით, მან, 2019 წლის 13 იანვარს 12 საათიან კურიერში სადავო სიუჟეტის ეთერში გასვლისთანავე გააცნობიერა, რომ დაუშვა შეცდომა. ამიტომ, მაშინვე მიიღო ზომები დარღვევის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ: ვინაიდან „კურიერის" პირდაპირი ეთერის პარალელურად, ეთერში გადაცემული ამბები ქვეყნდება [წაკითხვადი და/ან ვიდეო ვერსია] „რუსთავი2-ის" ოფიციალურ ვებგვერდზე [www.rustavi2.ge], თამთა დოლენჯაშვილის თქმით, როგორც კი მან გააცნობიერა საკუთარი შეცდომა, მაშინვე სთხოვა გადაცემის პროდიუსერსა და ვებ-გვერდის ადმინისტრატორს მისი სიუჟეტის ვებგვერდიდან აღება. ხოლო „კურიერის" მომდევნო გამოშვებაში, 15 საათიან კურიერში აღარ გაუმეორებია იგივე სიტყვები და ამით შეეცადა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა.

კომისიის მიზანია, რომ მიუთითოს მის თანამშრომლებს ეთიკურ ვალდებულებებზე, მინიმუმამდე დაიყვანონ ისეთი ლექსიკის გამოყენება, რომელიც ნეგატიურ შედეგებს ახდენს გარკვეულ ჯგუფზე [მოცემულ შემთხვევაში, ქალებზე]. კომისია აღნიშნავს, რომ სადავო სიუჟეტში ჟურნალისტების მხრიდან გაჟღერებული კონკრეტული ფრაზა აღიქმება როგორც დისკრიმინაციული და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების შემლახავი და ჟურნალისტებს გადაცემის წამყვანებს ეკისრებათ ვალდებულება არა თუ თავად შეიკავონ თავი სექსისტური, დისკრიმინაციული და პირადი ცხოვრების შემლახველი განცხადებების

გაკეთებისაგან, არამედ მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რომ აღმოფხვრან რომელიმე სოციალური ჯგუფის დამაკნინებელი კომენტარები, თუნდაც ამგვარი კომენტარები გაკეთებული იყოს წყაროსგან, რესპონდენტისგან.

კომისიამ იხელმძღვანელა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გარემოებების გაანალიზების და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად გადაწყვიტა:

## სარეზოლუციო ნაწილი

1. ვინაიდან, ჟურნალისტმა გააცნობიერა 2019 წლის 13 იანვარს გადაცემა „კურიერის“ 12 საათიან გადაცემაში დაშვებული შეცდომა და საინფორმაციო გადაცემის მომდევნო გამოშვებაში აღარ გაუმეორებია იგივე სიტყვები, რითაც აღმოფხვრა დაშვებული შეცდომა;
2. კომისიას მიაჩნია, რომ ჟურნალისტის მიერ დარღვეულ იქნა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი პრინციპები და ამავე დროს, ჟურნალისტის მხრიდან მიღებულ იქნა ადეკვატური ზომა დარღვევის განმეორების აღმოსაფხვრელად;
3. დაკმაყოფილდეს საჩივრის ავტორების განცხადება და მიეცეს ჟურნალისტ თამთა დოლეჯანშვილს რეკომენდაცია, მომავალში უფრო ფრთხილად მოეკიდოს პირდაპირი ეთერის დროს მსგავსი სახის ლექსიკის გამოყენებას, რათა არ დაირღვეს პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპი და არ მოხდეს ქალთა მიმართ არსებული სტერეოტიპების გაღვივება.
4. გადაწვეტილება გაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში, თვითრეგულირების საპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ზ. ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ. №5ა.)

კომისიის წევრები:

თამთა მურადაშვილი

დიმიტრი საძაგლიშვილი

დაჩი ბერუჩაშვილი

ლიკა მეტრეველი